

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

ბხსუ-ში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

- სტუდენტის სტატუსის აღდგენისთვის დადგენილი (5 წელი) ვადის გასვლა;
- სტატუსის შეწყვეტის შესახებ სტუდენტის პირადი განცხადება;
- შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- კანონმდებლობით დადგენილ ვადასა და უნივერსიტეტის მიერ დამატებითი სემესტრებისათვის განსაზღვრულ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის დაუსრულებლობა;
- ერთი და იმავე სასწავლო კურსის: სპეციალობის საგნის ორჯერ და არასპეციალობის საგნის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერმიღება;
- მობილობით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა;
- სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების უხეში დარღვევა, ბხსუ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური დარღვევები;
- უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, თუკი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან გასულია 5 წელი;
- გარდაცვალება.
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

✚ სტუდენტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც მან უნდა მიმართოს რექტორს სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით.

✚ სტუდენტი, რომელსაც სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს ფინანსური დავალიანების გამო და მოითხოვს სტატუსის შეწყვეტას, ვალდებულია გადაიხადოს მასზე დარიცხული ფინანსური დავალიანება.

✚ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

! სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან.